

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



“უ ა მ ტ ა ი ც ე ბ”

ეკონომიკური საქმიანობის სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი

თორნიკე შერმადინი

„27.“ 12 „2013 წელი

უგზ 2

სსიპ „სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო“

2011 და 2012 წლების 31 დეკემბერთი დასრულებული საანგარიშო პერიოდებისთვის
ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის ანგარიში 65/00

შინაარსი

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ	3
დასკვნა კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე	6
სხვა მნიშვნელოვანი საკითხები	8
ფორმა N1 - ბალანსი	10
ფორმა N2 - ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით	11
ფორმა N2.1 - ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ	12
ფორმა N3 - ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ	13
ფორმა N4 - ანგარიში სხვა შემოსავლებიდან მიღებული სახსრების მოძრაობის შესახებ	14
ფორმა N5 - ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ	16
ფორმა N6 - ანგარიში ავტომატური ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ	18
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები	19
1. ზოგადი ინფორმაცია	19
2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები	19
3. ბიუჯეტების პროცესი	20
4. სააგენტოს საქმიანობის მიმოხილვა სტრუქტურული ქვედანაყოფების მიხედვით	20
5. საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	24
6. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის მიხედვით განხორციელებული შესყიდვები	25
7. ფინანსური ანგარიშგების შედგენის შემდგომი მოვლენები	26

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა სსიპ „სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს“ (შემდეგში „სააგენტო“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ბალანსს 2011 და 2012 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით ხარჯების, არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების, ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების, წმინდა ღირებულების, ფულადი გრანტების, არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის, ეკონომიკური ნაკადების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულების ცვლილებებისა და ავტომატური ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ ანგარიშგებებს მოცემული თარიღებით დასრულებული სააღრიცხვო პერიოდებისათვის.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით

სააგენტოს ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის სამართლიან წარდგენაზე საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციისა და 2008 წლის 16 აპრილის „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ N364 ბრძანების შესაბამისად.

აღნიშნული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახური პასუხისმგებელია აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI 4200) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორების მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნას გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობას.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხებისა და განმარტებითი შენიშვნების შესახებ. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებას, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს აუდიტორი განსაზღვრავს შესაფერისი თუ არა შიდა კონტროლი სამართლიანი და უტყუარი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისათვის. შიდა კონტროლის შეფასება მიზნად ისახავს მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და არა შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე მოსაზრების გამოთქმას. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის შეფასებას, ასევე მთლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად.

უიმედო დებიტორული დავალიანება

სააგენტო დაარსდა 2011 წლის 15 აპრილს და წარმოადგენს ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაციის სამართალმემკვიდრეს. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანების¹ შესაბამისად, სააგენტოს უსასყიდლოდ გადაეცა ადმინისტრაციის ბალანსზე რიცხული მატერიალური ფასეულობების ნაწილი და ის განისაზღვრა დებიტორულ - კრედიტორული დავალიანების ნაწილის უფლებამონაცვლედ.

სააგენტომ დებიტორული დავალიანება ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხა სხვა დანარჩენი მოკლევადიანი მოთხოვნების სახით, რომელიც 2011 და 2012 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს „აჭარის საავტომობილო ტრანსპორტის ადმინისტრაციის“ და „აღმასრულებელი ორგანოების“ მიმართ მოთხოვნებს, შესაბამისად, 150,969 და 84,033 ლარის ოდენობით. სააგენტოს ხელმძღვანელობის განმარტებით, გარდა აღნიშნული ბრძანების დანართში² წარმოდგენილი მონაცემებისა, ვერ მოიძებნა მოთხოვნის წარმოშობის დამადასტურებელი პირველადი დოკუმენტაცია, ან სხვა სახის ინფორმაცია, რაც მათ მისცემდა საშუალებას მოეხდინათ დებიტორების იდენტიფიცირება და გაეტარებინათ შესაბამისი ღონისძიებები. თუმცა, დანართის მიხედვით, დებიტორული დავალიანება წარმოიშვა 2002 წელს, რაც იძლევა იმის საფუძველს, რომ მოქმედი კანონმდებლობის³ შესაბამისად აღნიშნული მოთხოვნა კვალიფიცირდეს ხანდაზმულად. ზემოთ განხილული გარემოებების მიუხედავად, 2011 და 2012 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით სააგენტოს არ წარმოუდგენია 235,002 ლარის ოდენობის სხვა დანარჩენი მოკლევადიანი მოთხოვნები საცნობარო მუხლებში ვადაგადაცილებული დავალიანებების სახით, როგორც ეს მოითხოვება 2007 წლის 28 დეკემბრის ფინანსთა მინისტრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის⁴ შესაბამისად.

კრედიტორული დავალიანება

სააგენტო ასევე განისაზღვრა ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაციის ბალანსზე რიცხული კრედიტორული დავალიანების უფლებამონაცვლედ. 17,247 ლარის ოდენობის კრედიტორული დავალიანება, რომელიც შედგებოდა 2001 წელს წარმოშობილი გადასახდელი ხელფასებისგან, სააგენტომ 2011 და 2012 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსურ ანგარიშგებაში ასახა შტატით მომუშავეთათვის დარიცხული ხელფასების მუხლში. კრედიტორული დავალიანების დამადასტურებელ დოკუმენტაციის სახით სააგენტომ მხოლოდ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ზემოთ ხსენებული ბრძანების დანართი წარმოადგინა, სადაც 27 ფიზიკური პირის მიხედვით ნაჩვენებია დავალიანების შემადგენელი კომპონენტები. დანართის სიაში ფიზიკური პირები წარმოდგენილია მხოლოდ გვარების (მაგ: ნ. თოდუა) მიხედვით და არ იკითხება მათი სხვა სახის საიდენტიფიკაციო მონაცემები. აღნიშნულის გამო, ჩვენ ვერ დავრწმუნდით 2011 და 2012 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული სულ 17,247 ლარის ოდენობის შტატით მომუშავეთა სახელფასო ვალდებულებების აღიარების კანონიერებასა და სიზუსტემ.

არაფინანსური აქტივები

ჩვენ ვერ დავესწარიტ, 2011 და 2012 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით სააგენტოში ჩატარებულ ინვენტარიზაციებს. ინვენტარიზაციების შედეგების მიმოხილვისას გამოვლინდა, რომ სააგენტოს არ განუხორციელებია საწყობში არსებული სხვა მატერიალური მარაგების ინვენტარიზაცია. გარდა ამისა, ნებართვის ფურცლების ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლინდა ვადაგასული ნებართვები, რომლებიც ექვემდებარება ჩამოწერას. მიუხედავად ამისა, მათი ღირებულება მაინც შესულია სხვა მატერიალური მარაგების ნაშთში. ვადაგასული ნებართვების ღირებულება შეადგენს 2011 წელს 1,439 ლარს, ხოლო 2012 წელს - 1,448 ლარს.

ზემოთ განხილული საკითხების გათვალისწინებით, ჩვენ ალტერნატიული აუდიტორული პროცედურებითაც ვერ შევძელით დავრწმუნებულიყავით 2011 და 2012 წლების 31 დეკემბრისათვის ფლობილი სხვა მატერიალური მარაგების აღრიცხვის სისწორეში, რაც ბალანსში ასახულია შესაბამისად 17,160 და 18,342 ლარის ღირებულებით. ასევე, ვერ შევძელით დავრწმუნებულიყავით ამავე თარიღებისათვის ფლობილი მანქანა-დანადგარების და სხვა

¹ 2011 წლის 4 აგვისტოს ბრძანება #1-1/1478 „ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაციის ბალანსზე რიცხული მატერიალური ფასეულობების და დებიტორულ-კრედიტორული დავალიანებების გადაცემის შესახებ“.

² დანართი 2, დებიტორული დავალიანების უფლებამონაცვლეობის განსაზღვრის შესახებ

³ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი: მუხლი 129

⁴ მე-14 მუხლის 27 პუნქტის

ძირითადი აქტივების აღრიცხვის სიზუსტესა და სისრულეში, რაც ბალანსში ასახულია 2011 წლის ბოლოსთვის 152,989 ლარის, ხოლო 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - 245,593 ლარის ჯამური ღირებულებით.

აუდიტის შედეგად გამოვლინდა არაფინანსური აქტივების აღრიცხვასთან დაკავშირებული შემდეგი ხარვეზები:

- სააგენტო საკუთარი სახსრებით შეძენილ ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად იყენებს საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით განსაზღვრულ ცვეთის ნორმებს, რაც არ შეესაბამება ფინანსთა მინისტრის ბრძანება N439-ის მოთხოვნებს. შედეგად, ფინანსურ ანგარიშგებაში ცვეთის ხარჯი 2011 წელს 11,421 ლარის, ხოლო 2012 წელს - 43,776 ლარის გადაჭარბებით არის წარმოდგენილი.
- „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციით და ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ №364 ბრძანებით განსაზღვრულ მოთხოვნების გაუთვალისწინებლად, სააგენტოს არაფინანსურ აქტივებად აქვს ასახული 2011 წელს ექსპლუატაციაში შესული, 500 ლარზე ნაკლები ისტორიული ღირებულების აქტივები. აღნიშნული ოდენობებით ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითადი საშუალებების ღირებულება გაზრდილია 2011 და 2012 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, შესაბამისად 1,129 და 810 ლარით.

გადასახადები

2011 და 2012 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, სააგენტოს ფინანსურ ანგარიშგებაში ცალ-ცალკე აქვს წარდგენილი გადასახდელი და გადახდილი დღგ. „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის⁵ მიხედვით კი მოითხოვება აღნიშნული ორი კომპონენტის ერთმანეთთან შედარება და ნამეტის საგადასახადო ვალდებულების, ან საგადასახადო აქტივის სახით წარმოდგენა. შესაბამისად, 2011 წლის ბოლოსთვის, საგადასახადო დეკლარაციების გათვალისწინებით ფინანსურ ანგარიშგებაში გადასახდელი დღგ უნდა შეადგენდეს 52,068 ლარს, ხოლო 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - 120,316 ლარს.

ფინანსურ ანგარიშგებაში დარიცხული 2012 წლის მოგების გადასახადის ხარჯი 2,052 ლარით აღემატება მოგების გადასახადის დეკლარაციის მიხედვით დაანგარიშებულ თანხას. შედეგად, 2012 წლის ფორმა N4-ში სხვა ხარჯები უზუსტოდ არის გაზრდილი ამავე თანხით.

პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ

პირობითი მოსაზრების საფუძვლებში აღწერილი საკითხების ფინანსურ ანგარიშგებაზე შესაძლო გავლენის გარდა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით სამართლიანად ასახავს სააგენტოს ბალანსს 2011 და 2012 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით ხარჯების, არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების, ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების, წმინდა ღირებულების, ფულადი გრანტების, არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის, ეკონომიკური ნაკადების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულების ცვლილებებისა და ავტომატური ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ ანგარიშგებებს.

⁵ 30-ე მუხლის მე-11 პუნქტი

დასკვნა კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და მის სამართლიან წარდგენის პასუხისმგებლობის გარდა, სააგენტოს ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია, უზრუნველყოს ორგანიზაციის საქმიანობისა და ფინანსური ოპერაციების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პასუხისმგებლობაა აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ. ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი წარმოადგენს უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორების მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნას გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეესაბამება თუ არა სააგენტოს საქმიანობა და ფინანსური ოპერაციები მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად.

პირობითი აუდიტორული მოსაზრების საფუძველები

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

შპს „მოდერნ ვილასთან“, 2011 წელს გაფორმებული ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა საოფისე ავეჯის შესყიდვა. შესასყიდი ავეჯის სიაში გვხვდება საკონფერენციო სავარძლები ტყავის რბილი ზედაპირით. შესყიდული სავარძლის ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე გამოვლინდა, რომ სავარძლებს აქვს არა ტყავის, არამედ „დერმატინის“ ზედაპირი (ტყავის შემცვლელი). სააგენტოს ხელმძღვანელობის განმარტებით მათთვის მისაღები იყო წარმოდგენილი მახასიათებლების მქონე სავარძლები, რაც არ შეესაბამება სატენდერო მოთხოვნებს. კანონმდებლობის მიხედვით სატენდერო დოკუმენტაციაში შესყიდვის საგნის მახასიათებლები უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო პრაქტიკაში დამკვიდრებულ სტანდარტებს და არ უნდა ტოვებდეს ორმაგი ინტერპრეტაციის საშუალებას.

გამარტივებული შესყიდვების წესით დადებულ ხელშეკრულებების უმრავლესობაში არ არის მითითებული ხელშეკრულების მოქმედების კონკრეტული ვადა, რაც შეუსაბამოა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის N9 ბრძანებით დამტკიცებული წესის⁶ მოთხოვნასთან.

რამდენიმე ხელშეკრულებაში მიღება-ჩაბარების აქტი განმარტებულია, როგორც მხარეთა მიერ ხელმოწერილი აქტი, რომელიც მიუთითებს ინსპექტირების აქტში მითითებული უნაკლო საქონლის რაოდენობაზე და ადასტურებს მიწოდებული საქონლის რაოდენობას, ხარისხს და ღირებულებას. თუმცა, ხშირ შემთხვევაში მიღება-ჩაბარების აქტებთან ერთად არ გვხვდება ინსპექტირების აქტები.

ზოგიერთი ხელშეკრულება განსაზღვრავს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე პასუხისმგებელ კონკრეტულ პირს, თუმცა მიღება-ჩაბარების აქტზე სრულიად სხვა პიროვნებების ხელმოწერებია. ამასთან დაკავშირებით, სააგენტომ ვერ წარმოადგინა რაიმე სახის დოკუმენტი, სადაც აღნიშნული იქნებოდა თუ რატომ არ აწერს ხელს ხელშეკრულებით განსაზღვრული პირი შესაბამის მიღება-ჩაბარების აქტს.

⁶ მე-19 მუხლის მე-6 პუნქტი

სპეციალური ტრანსპორტის სფეროს მონიტორინგი

დებულების მიხედვით, სააგენტოს სტრუქტურული ქვედანაყოფის, სპეციალური ტრანსპორტის სამსახურის ერთ-ერთ ფუნქციად განსაზღვრულია სპეციალური ტრანსპორტის (საბაგირო, სარელსო და ა.შ) მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტების მოთხოვნათა დაცვაზე ზედამხედველობის განხორციელება. თუმცა როგორც ამ სამსახურის საქმიანობის შესწავლიდან აღმოჩნდა, მათი საქმიანობა ძირითადად შემოიფარგლება მხოლოდ საერთაშორისო პრაქტიკის გაცნობით და შესაბამისი საკანონმდებლო პროექტების მომზადებით. გამომდინარე აქედან, სააგენტო არ იყენებს მისთვის კანონმდებლობით მინიჭებულ უფლებამოსილებებს და არაჯეროვნად ასრულებს მასზე დაკისრებულ სპეციალური ტრანსპორტის სფეროს მონიტორინგის ფუნქციას.

სახმელეთო ტრანსპორტის დარგთან დაკავშირებული ტრენინგების, სემინარების და სხვა ღონისძიებების ჩატარების ორგანიზება.

სააგენტო ვალდებულია საკვალიფიკაციო პროფესიული განვითარების მიზნით უზრუნველყოს დარგში დასაქმებული მუშაკებისათვის და სხვა დაინტერესებული უწყებების თანამშრომლებისათვის შესაბამისი ტრენინგების, სემინარების და სხვა ღონისძიებების ჩატარება. სააგენტომ 2012 წელს ორგანიზება გაუკეთა მხოლოდ 8 ერთდღიან სემინარს, რომელშიც დარგში დასაქმებულმა 70-მა სპეციალისტმა მიიღო მონაწილეობა. თუმცა, სააგენტოს არ წარმოუდგენია სემინარების ჩატარების დამადასტურებელი დოკუმენტი და არც სასწავლო გეგმა, რომლის მიხედვითაც მან იხელმძღვანელა სემინარების მსვლელობისას. სააგენტოს განმარტებით, სემინარები იყო ზოგადი ხასიათის და მოიცავდა სახმელეთო ტრანსპორტის სფეროს საკანონმდებლო ბაზისა და მასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხების განხილვას.

გარდა ამისა, ხელმძღვანელობის განმარტებით, ცენტრის თანამშრომელი კომპეტენციის ფარგლებში აქტიურად უწევდა ზეპირ კონსულტაციას სახელმწიფო უწყებებს და სხვა დაინტერესებულ მხარეებს. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სააგენტოს მიერ არ გამოქვეყნებულა რაიმე სახის სასწავლო მასალა (პუბლიკაციები, სახელმძღვანელო და ა.შ.), რაც უზრუნველყოფდა დარგში დასაქმებული პირებისთვის მაღალი ხარისხის ინფორმაციის ხელმისაწვდომლობას.

ზემოთ განხილული საკითხების გათვალისწინებით, შესაძლებელია ითქვას, რომ 2011 და 2012 წლების განმავლობაში სააგენტო ამ მიმართულებით ვერ ფუნქციონირებდა სრულფასოვნად.

პირობითი მოსაზრება კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძვლებში აღწერილი საკითხების გარდა, სააგენტოს საქმიანობა და ფინანსური ოპერაციები, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, შესაბამისობაშია მოქმედი კანონმდებლობის და სხვა მარეგულირებელი ნორმების მოთხოვნებთან.

სხვა მნიშვნელოვანი საკითხები

სააგენტოს მიერ განხორციელებული ტექნიკურ რეგლამენტებთან შესაბამისობის მონიტორინგი და დაკისრებული ჯარიმები

სააგენტოს საქმიანობის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის, მგზავრთა გადაყვანისა და ტვირთის გადაზიდვის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ტექნიკური რეგლამენტების საფუძველზე დარგში მონიტორინგის განხორციელება. 2011 და 2012 წლებში სააგენტოს მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგად, მხოლოდ ორი ისეთი ტექნიკური რეგლამენტის დარღვევაზეა შედგენილი 24 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი როგორც არის: „ავტოსადგურის ფუნქციონირების წესი და პირობები“ და „ავტოსატრანსპორტო საშუალებით მგზავრის გადაყვანისა და ბარგის გადაზიდვის წესი“. ყველა შემოწმება სააგენტოს ჩატარებული აქვს შემოსული განცხადების, ან საჩივრის საფუძველზე, არცერთი არ არის საკუთარი ინიციატივით, რის უფლებასაც მას რთავს საქართველოს კანონი „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სააგენტოს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, არ გააჩნია ავტოსატრანსპორტო საშუალებებსა და ავტოსადგურებზე ოპერატიული მონიტორინგის განხორციელების უფლება. სააგენტო იწყებს ობიექტის შემოწმებას თუ სასამართლო დაუკმაყოფილებს მას შუამდგომლობას და გასცემს ბრძანებას ობიექტის შემოწმებასთან დაკავშირებით, რაც სააგენტოსთან ერთად ეგზავნება მეწარმე სუბიექტსაც. მიუხედავად ამ საკანონმდებლო შეზღუდვისა, აუდიტით გამოვლენილი გარემოებებიდან და დარგში არსებული პრობლემებიდან გამომდინარე, სააგენტოს საქმიანობა დარღვევებზე რეაგირების ნაწილში არადამაკმაყოფილებელია – 2 წლის განმავლობაში შედგენილია 24 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი.

ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი ანიჭებს სააგენტოს დისკრეციულ უფლებამოსილებას სამართალდარღვევაზე განსაზღვროს ჯარიმის ოდენობა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 5000 ლარს. სააგენტოს არ აქვს შემუშავებული სამართალდარღვევაზე შესაბამისი ოდენობის ჯარიმის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას სახელმძღვანელო სტანდარტი. საგულისხმოა, რომ სააგენტო არ მსჯელობს, თუ რა გარემოებებსა და კრიტერიუმებზე დაყრდნობით მიიღება გადაწყვეტილება ჯარიმის ოდენობის შესახებ, რაც დაასაბუთებდა სააგენტოს მიერ კანონის მიზნების შესაბამისად პროპორციულობის პრინციპის დაცვას დარღვევის ფაქტთან დაკავშირებით რეაგირების ღონისძიების გამოყენების საკითხზე. აღნიშნული კი წარმოქმნის ექვს დაკისრებული ჯარიმის ოდენობის გონივრულობასთან დაკავშირებით.

საქართველოს მთავრობის დადგენილება კვოტის ზემოთ ნებართვების შემოღების შესახებ

საქართველოს მთავრობის დადგენილებით, საერთაშორისო სამგზავრო გადაყვანისა და საერთაშორისო სატვირთო გადაზიდვის შეუფერხებლად განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით, შემოღებული იქნა 70 ლარიანი გადასახადი, რომლის საშუალებითაც გადამზიდველებს უფლება ეძლეოდათ საქართველოს ტერიტორიაზე კვოტის ზემოთ განხორციელებინათ საერთაშორისო საავტომობილო სატვირთო გადაზიდვა დატვირთვის უფლების გარეშე. აღნიშნული ნებართვის გაცემის უფლებამოსილება მიენიჭა სსიპ „შემოსავლების სამსახურს“. 70 ლარიანი გადასახადი რამდენიმე დღეში შეიცვალა 200 ლარით.

საერთაშორისო პრაქტიკაში თითქმის არცერთ ქვეყანაში არ არსებობს მსგავსი პრეცედენტი, რომ გადაზიდვის ნებართვის აღება ხდებოდეს პირდაპირ საბაჟო გამშვებ პუნქტზე, სატრანსპორტო სააგენტოს გვერდის ავლით. აღნიშნული ფაქტი შეიძლება გახდეს მრავალი უარყოფითი შედეგის გამომწვევი მიზეზი, რაც საქართველოს შემთხვევაში შეიძლება განვიხილოთ რუსეთის მაგალითზე. როდესაც რუსეთმა კვოტების გაცვლაზე უარი განაცხადა, რადგან მათი გადამზიდავები საქართველოს საზღვარზე მარტივად იძენდნენ ნებართვებს, ხოლო საქართველოს გადამზიდავებს კვოტების არარსებობის გამო არ ეძლეოდათ საშუალება რუსეთის ტერიტორიაზე ტვირთის გადაზიდვის. ასევე სააგენტოს მხრიდან ასეთ სატვირთო მანქანებზე ვერ ხორციელდებოდა ტექნიკური მდგომარეობის კონტროლი, რაც თავის მხრივ წარმოშობდა უბედური შემთხვევების მომეტებულ რისკებს.

აღნიშნული ნებართვის გაცემიდან მიღებულმა შემოსავალმა 2012 წელს შეადგინა 953,450 ლარი. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს მთავრობის დადგენილებით ძალადაკარგულად გამოცხადდა მთავრობის N286 დადგენილება და ეს გადასახადი ამჯერად გაუქმებულია.

საზღვარგარეთ მივლინება

სამივლინებო ხარჯების აუდიტის შედეგად გამოვლინდა შეუსაბამო ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 5 აპრილის #220 ბრძანების მოთხოვნებთან⁷. იმის მიუხედავად, რომ სამივლინებო ხარჯების 100 პროცენტი მომწვევმა მხარემ აანაზღაურა, სააგენტოს თანამშრომლებს მაინც მიეცათ სრული დღიური ნორმის თანხა. კერძოდ:

- სატვირთო გადაზიდვების სამართველოს მთავარი სპეციალისტი 2011 წლის 26 მაისიდან 28 მაისის ჩათვლით მივლინებული იქნა ქალაქ ანკარაში და სამივლინებო ხარჯების სახით მიიღო 1,110 ლარი, აქედან დღიური ნორმა შეადგენდა 212 ლარს.
- 2011 წლის 7 სექტემბრიდან 10 სექტემბრის ჩათვლით სააგენტოს პირველი მოადგილე მივლინებული იქნა ქალაქ ანტალიაში, სამივლინებო ხარჯების ანაზღაურებისთვის მიეცა 1,162 ლარი, აქედან დღიური ნორმა შეადგენდა 283 ლარი.

თუმცა აღსანიშნავია, რომ სააგენტოს მიერ ზედმეტად გაცემული თანხები, 2012 წლის განმავლობაში თანამშრომლების მიერ უკან არის დაბრუნებული ორგანიზაციის საბანკო ანგარიშზე.

ხელფასებისა და პრემიების შესახებ

2011 წლისგან განსხვავებით 2012 წელს სააგენტოს არ მიუღია საბიუჯეტო დაფინანსება. სააგენტოს მიერ საკუთარი და საბიუჯეტო სახსრებით გაწეული მთლიანი სახელფასო ხარჯი 2012 და 2011 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შესაძლებელია შემდეგნაირად წარმოვადგინოთ:

	2012			2011		
	თანამშრომელთა რაოდენობა	ხელფასი	პრემია	თანამშრომელთა რაოდენობა	ხელფასი	პრემია
უმაღლესი ხელმძღვანელობა	3	104,405	164,600	3	48,724	46,000
განყოფილების უფროსები	9	228,375	147,865	8	125,084	19,325
სხვა თანამშრომლები	46	574,003	357,085	42	310,216	23,800
	58	906,783	669,550	53	484,024	89,125

იმის მიუხედავად, რომ სააგენტო დაფუძნდა 2011 წლის 15 მაისს, 2012 წელს მნიშვნელოვნად არის გაზრდილი სახელფასო ხარჯი. სააგენტოში ადგილი არ ჰქონია შტატისა და შტატგარეშე თანამშრომლების მნიშვნელოვან მატებას, ასევე - თანამშრომელთა მიერ შესასრულებელი სამუშაოების მოცულობის მნიშვნელოვან ზრდას, თუმცა, 2011 წელთან შედარებით 2012 წელს თანამდებობრივი სარგო გაიზარდა 87%-ით, ხოლო გაცემული პრემიები 651%-ით. აქედან, უმაღლესი ხელმძღვანელობისთვის გაცემული პრემიები მათი 2012 წლის თანამდებობრივი სარგოს 158%-ს შეადგენს. ცხრილიდან ჩანს, რომ მხოლოდ 2012 წელს გაცემული პრემია აღემატება 2011 წლის თანამდებობრივ სარგოსა და პრემიების ჯამურ ოდენობას.

⁷ მე-4 მუხლი: "თუ დაქირავებული მივლინებას ქვეყნის ფარგლებს გარეთ მიმღები მხარე უზრუნველყოფს მხოლოდ კვების ხარჯებით, მაშინ მისი სადღეღამისო ხარჯების ნორმა განისაზღვროს დანართი #1-ში გათვალისწინებული სადღეღამისო ნორმის 30 პროცენტის ოდენობით

სსიპ „სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო“

ფორმა N1 - ბალანსი

საანგარიშო პერიოდებისთვის, რომლებიც დასრულდა 2011 და 2012 წლების 31 დეკემბერს

	2011	2012
აქტივები		
ფინანსური აქტივები და სხვა დებიტორული დავალიანებები		
საანგარიშსწორებო (მიმდინარე) ანგარიში ბანკში	708,304	1,785,854
სხვა ანგარიშები ბანკში	-	2,522
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	7,270	13,089
მოთხოვნები მივლინებით	4,440	-
გადახდილი დღგ	7,379	7,383
სხვა საგადასახადო აქტივი	40	1,405
მოთხოვნები სხვა წინასწარი გადახდებით	107,255	1,509
სხვა დანარჩენი მოკლევადიანი მოთხოვნები	235,162	235,002
სულ ფინანსური აქტივები და სხვა დებიტორული დავალიანებები	1,069,850	2,046,764
არაფინანსური აქტივები		
შენობა-ნაგებობები	-	858,184
მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	152,352	164,596
სხვა ძირითადი აქტივები	638	80,997
სხვა მატერიალური მარაგები	17,160	18,342
გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	-	944
სულ არაფინანსური აქტივები	170,150	1,123,063
სულ აქტივები	1,240,000	3,169,827
ვალდებულებები და კაპიტალი		
ფინანსური ვალდებულებები და სხვა კრედიტ. დავალიანებები		
ვალდებულებები მოწოდებიდან და მომსახურებიდან	4,800	523
გადასახდელი მოგების გადასახადი	120,963	42,780
გადასახდელი დღგ	59,447	127,699
ბიუჯეტის წინაშე სხვა ვალდებულებები	407	6,640
გადასახდელი ხელფასები შტატით მომუშავეთათვის	17,246	17,246
ვალდებულებები წინასწარ მიღებული სხვა შემოსავლებით	21,773	46,759
სულ ფინანსური ვალდებულებები და სხვა კრედიტორული დავალიანებები	224,636	241,647
კაპიტალი		
წმინდა ღირებულება	250,399	953,112
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	-	1,210,103
გაუნაწილებელი მოგება	764,965	764,965
სულ კაპიტალი	1,015,364	2,928,180
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	1,240,000	3,169,827
საცნობარო მუხლები		
ამორტიზებული ძირითადი აქტივები	9,086*	18,834
ექსპლუატაციაში მყოფი ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	33,654*	13,079

* 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის ასახული, გვხვდება მხოლოდ 2012 წლის ფინანსური ანგარიშგების შესადარის ინფორმაციაში

სსიპ „სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო“

ფორმა N2 - ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

საანგარიშო პერიოდებისთვის, რომლებიც დასრულდა 2011 და 2012 წლების 31 დეკემბერს

2011 წელი

ხარჯების ჩამონათვალი	დამტკიცებული გეგმით	დაზუსტებული გეგმით	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)	ფაქტობრივი ხარჯი	გადახრა ფაქტობრივ ხარჯსა და გადახდას შორის
1.1 შრომის ანაზღაურება	-	-	-	-	-	-	-
1.2 საქონელი და მომსახურება	-	-	-	-	-	-	-
1.3 ძირითადი კაპიტალ. მოხმარება	-	-	-	-	-	9,397	9,397
1.4 პროცენტი	-	-	-	-	-	-	-
1.5 სუბსიდიები	466,500	496,500	496,500	496,500	496,500	517,408	20,908
1.6 გრანტები	-	-	-	-	-	-	-
1.7 სოციალური უზრუნველყოფა	-	-	-	-	-	-	-
1.8 სხვა ხარჯები	-	-	-	-	-	-	-
სულ ხარჯები	466,500	496,500	496,500	496,500	496,500	526,505	30,305

2012 წელი

ხარჯების ჩამონათვალი	დამტკიცებული გეგმით	დაზუსტებული გეგმით	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)	ფაქტობრივი ხარჯი	გადახრა ფაქტობრივ ხარჯსა და გადახდას შორის
1.1 შრომის ანაზღაურება	-	-	-	-	-	-	-
1.2 საქონელი და მომსახურება	-	-	-	-	-	430	430
1.3 ძირითადი კაპიტალ. მოხმარება	-	-	-	-	-	14,857	14,857
1.4 პროცენტი	-	-	-	-	-	-	-
1.5 სუბსიდიები	-	-	-	-	-	-	-
1.6 გრანტები	-	-	-	-	-	-	-
1.7 სოციალური უზრუნველყოფა	-	-	-	-	-	-	-
1.8 სხვა ხარჯები	-	-	-	-	-	-	-
სულ ხარჯები			-	-	-	15,287	15,287

სსიპ „სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო“

ფორმა N2.1 - ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ

საანგარიშო პერიოდებისთვის, რომლებიც დასრულდა 2011 და 2012 წლების 31 დეკემბერს

2011 წელი

არაფინანსური აქტივების ჩამონათვალი	დამტკიცებული გეგმით	დაზუსტებული გეგმით	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)
არაფინანსური აქტივები	30,000	-	-	-	-
სულ არაფინანსური აქტივები	30,000	-	-	-	-

2012 წელი

არაფინანსური აქტივების ჩამონათვალი	დამტკიცებული გეგმით	დაზუსტებული გეგმით	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)
არაფინანსური აქტივები	-	-	-	-	-
სულ არაფინანსური აქტივები	-	-	-	-	-

სსიპ „სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო“

ფორმა N3 - ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ

საანგარიშო პერიოდებისთვის, რომლებიც დასრულდა 2011 და 2012 წლების 31 დეკემბერს

წმინდა ღირებულება 15/04/2011	-
სადებეტო ბრუნვა	
მომუშავეთა ანაზღაურება	-
საქონელი და მომსახურება	-
ძირითადი კაპიტალის მოხმარება	(9,397)
სუბსიდიები	(517,408)
აქტივების უსასყიდლოდ გაცემა	(35,215)
სხვა ეკონომიკური ნაკადები	(29)
სულ სადებეტო ბრუნვა 2011	(562,049)
საკრედიტო ბრუნვა	
ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება	496,500
აქტივების უსასყიდლოდ მიღება	98,163
სხვა ეკონომიკური ნაკადები	217,785
სულ საკრედიტო ბრუნვა 2011	812,448
წმინდა ღირებულების ცვლილება 2011	250,399
წმინდა ღირებულება 31/12/2011	250,399
სადებეტო ბრუნვა	
საქონელი და მომსახურება	(430)
ძირითადი კაპიტალის მოხმარება	(14,857)
სულ სადებეტო ბრუნვა 2012	(15,287)
საკრედიტო ბრუნვა	
აქტივების უსასყიდლოდ მიღება	718,000
სულ საკრედიტო ბრუნვა 2012	718,000
წმინდა ღირებულების ცვლილება 2012	702,713
წმინდა ღირებულება 31/12/2012	953,112

სსიპ „სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო“

ფორმა N4 - ანგარიში სხვა შემოსავლებიდან მიღებული სახსრების მოძრაობის შესახებ

საანგარიშო პერიოდებისთვის, რომლებიც დასრულდა 2011 და 2012 წლების 31 დეკემბერს

2011 წელი

	საკასო	ფაქტიური
ნაშთი 15/04/2011	-	-
საანგარიშგებო პერიოდის სხვა შემოსავლები		
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	1,468,642	1,231,697
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	17,410	17,783
სულ საანგარიშგებო პერიოდის სხვა შემოსავლები	1,486,052	1,249,480
კურსთა შორის სხვაობით მიღებული შემოსავალი		373
სულ საანგარიშო პერიოდის შემოსავლები	1,486,052	1,249,853
ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით		
შრომის ანაზღაურება	(51,613)	(51,513)
საქონელი და მომსახურება	(423,283)	(267,456)
ძირითადი კაპიტალის მოხმარება	-	(30,147)
გრანტები	(3,606)	(3,763)
სხვა ხარჯები	(2,611)	(10,139)
სულ ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით	(481,113)	(363,018)
არაფინანსური აქტივები		
ძირითადი აქტივები	(155,835)	-
სულ არაფინანსური აქტივები	(155,835)	-
სულ ფინანსური აქტივები	-	-
სულ ვალდებულებები	-	-
ბიუჯეტში გადახდილი თანხები	(140,800)	(121,370)
კურსთა შორის სხვაობით მიღებული ზარალი		(126)
ნაშთი პერიოდის ბოლოს 31/12/2011	708,304	764,965

სსიპ „სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო“

ფორმა N4 - ანგარიში სხვა შემოსავლებიდან მიღებული სახსრების მოძრაობის შესახებ

საანგარიშო პერიოდებისთვის, რომლებიც დასრულდა 2011 და 2012 წლების 31 დეკემბერს

2012 წელი

	საკასო	ფაქტიური
ნაშთი 31/12/2011	708,304	764,965
საანგარიშგებო პერიოდის სხვა შემოსავლები		
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	3,925,200	3,312,157
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	82,369	81,044
სულ საანგარიშგებო პერიოდის სხვა შემოსავლები	4,007,569	3,393,201
კურსთა შორის სხვაობით მიღებული შემოსავალი		164
სულ საანგარიშო პერიოდის შემოსავლები	4,007,569	3,393,365
ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით		
შრომის ანაზღაურება	(1,441,359)	(1,438,439)
საქონელი და მომსახურება	(501,517)	(464,033)
ძირითადი კაპიტალის მოხმარება	-	(82,239)
სოციალური უზრუნველყოფა	(7,962)	(7,962)
სხვა ხარჯები	(6,956)	(190,377)
სულ ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით	(1,957,794)	(2,183,050)
არაფინანსური აქტივები		
ძირითადი აქტივები	(280,547)	-
მატერიალური მარაგები	-	-
სულ არაფინანსური აქტივები	(280,547)	-
სულ ფინანსური აქტივები	-	-
სულ ვალდებულებები	-	-
ბიუჯეტში გადახდილი თანხები	(691,678)	
კურსთა შორის სხვაობით მიღებული ზარალი	-	(212)
ნაშთი პერიოდის ბოლოს 31/12/2012	1,785,854	1,975,068

სსიპ „სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო“

ფორმა N5 - ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ

საანგარიშო პერიოდებისთვის, რომლებიც დასრულდა 2011 და 2012 წლების 31 დეკემბერს

2011 წელი		მიღება		გასვლა			
არაფინანსური აქტივების დასახელება	ნაშთი 15/04/2011	იმავე დონის სახელმწიფო ერთეულიდან უსასყიდლოდ	საკუთარი სახსრებით	იმავე დონის სახელმწიფო ერთეულიდან უსასყიდლოდ	ძირითადი კაპიტალის მოხმარება	საქონელი და მომსახურებით	ნაშთი 31/12/2011
ძირითადი აქტივები							
მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	-	75,428	151,571	35,215	39,432	-	152,352
სატრანსპორტო საშუალებები	-	55,563	126,500	34,306	28,564	-	119,193
სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	-	19,865	25,071	909	10,868	-	33,159
სხვა ძირითადი აქტივები	-	-	750	-	113	-	638
სხვა არამატერ. ძირითადი აქტივები	-	-	750	-	113	-	638
სულ ძირითადი აქტივები	-	75,428	152,321	35,215	39,544	-	152,990
მატერიალური მარაგები							
სხვა მატერიალური მარაგები	-	22,737	42,482	-	-	48,059	17,160
მ.შ. ფულადი დოკუმენტები	-	20,891	34,636	-	-	42,717	12,810
სხვა დანარჩენი მარაგები	-	1,846	7,846	-	-	5,342	4,350
სულ მატერიალური მარაგები	-	22,737	42,482	-	-	48,059	17,160

სსიპ „სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო“

ფორმა N5 - ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ

საანგარიშო პერიოდებისთვის, რომლებიც დასრულდა 2011 და 2012 წლების 31 დეკემბერს

2012 წელი		მიღება		გასვლა		
არაფინანსური აქტივების დასახელება	ნაშთი 31/12/2011	შესყიდვით	იმავე დონის სახელმწიფო ერთეულიდან უსასყიდლოდ	ძირითადი კაპიტალის მოხმარება	საქონელი და მომსახურებით	ნაშთი 31/12/2012
ძირითადი აქტივები						
შენობა-ნაგებობები	-	173,369	718,000	33,185	-	858,184
არასაცხოვრებელი შენობები	-	173,369	718,000	33,185	-	858,184
მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	152,352	61,842	-	49,598	-	164,596
სატრანსპორტო საშუალებები	119,193	-	-	27,628	-	91,565
სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	33,159	61,842	-	21,970	-	73,031
სხვა ძირითადი აქტივები	638	94,673	-	14,314	-	80,997
სხვა არამატერ. ძირითადი აქტივები	638	94,673	-	14,314	-	80,997
სულ ძირითადი აქტივები	152,990	329,884	718,000	97,097	-	1,103,777
მატერიალური მარაგები						
სხვა მატერიალური მარაგები	17,160	71,145	-	-	69,963	18,342
მ.შ. ფულადი დოკუმენტები	12,810	58,003	-	-	60,070	10,743
სხვა დარჩენილი მარაგები	4,350	13,142	-	-	9,893	7,599
სულ მატერიალური მარაგები	17,160	71,145	-	-	69,963	18,342
გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	-	14,024			13,079	944

სსიპ „სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო“

ფორმა N6 - ანგარიში ავტომატური ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ

საანგარიშო პერიოდებისთვის, რომლებიც დასრულდა 2011 და 2012 წლების 31 დეკემბერს

2011 წელი

მაჩვენებელთა დასახელება	ბიუჯეტით		არასაბიუჯეტო სახსრებით		სულ	
	საკასო ხარჯები	ფაქტიური ხარჯები	საკასო ხარჯები	ფაქტიური ხარჯები	საკასო ხარჯები	ფაქტიური ხარჯები
სატრანსპორტო ერთეულთა საშუალო წლიური რაოდენობა						
სულ: (6)						
მ.შ. მსუბუქი (სამსახურებრივი მიმოსვლის):		18,717.86	15,941.5	9,800.71	15,941.5	28,518.57

2012 წელი

მაჩვენებელთა დასახელება	ბიუჯეტით		არასაბიუჯეტო სახსრებით		სულ	
	საკასო ხარჯები	ფაქტიური ხარჯები	საკასო ხარჯები	ფაქტიური ხარჯები	საკასო ხარჯები	ფაქტიური ხარჯები
სატრანსპორტო ერთეულთა საშუალო წლიური რაოდენობა					38,571	32,652
სულ: (6)						
მ.შ. მსუბუქი:					38,571	32,652

სსიპ „სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო პერიოდებისთვის, რომლებიც დასრულდა 2011 და 2012 წლების 31 დეკემბერს

1. ზოგადი ინფორმაცია

2011 წლის 15 აპრილს, შეიქმნა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – „სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო“. სააგენტოს მიზანია მის კომპეტენციას მიკუთვნებული სფეროს ტექნიკური რეგულირება და მასთან დაკავშირებული მომსახურების გაწევა. დარგში მოქმედი საერთაშორისო ხელშეკრულებებით, შეთანხმებებით და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ნებართვების, სერტიფიკატებისა და დაშვების მოწოდების გაცემა და მათი დაცვის მონიტორინგი.

სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს საქმიანობის ძირითადი სფეროა ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტესტირების ცენტრების უზრუნველყოფა გზისთვის ვარგისობაზე სავალდებულო პერიოდული ტესტირების გავლის დამადასტურებელი ფირნიშებით, ამასთანავე, მის ფუნქციებში შედის სატრანსპორტო ბაზრის გამართული და სტაბილური ფუნქციონირების ხელშეწყობა, ეროვნულ გადაზიდველთა და მომხმარებელთა უფლებებისა და ინტერესების დაცვა.

სააგენტოს საშტატო განრიგი 2012 წლის 7 იანვრის მდგომარეობით შეადგენდა 43 თანამშრომელს, ხოლო შტატგარეშეთა რიცხოვნობას 2012 და 2011 წლების განმავლობაში 8 ერთეულს არ გადაუჭარბებია.

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

სააგენტო ხელმძღვანელობს საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ ბრძანებულებით დამტკიცებული დებულებით, ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციით „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ და სხვა მარეგულირებელი ნორმატიული აქტებით.

საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს ერთ წელს, რომელიც მთავრდება 31 დეკემბერს.

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

წარმოდგენილი ბუღალტრული ანგარიშგების საანგარიშგებო ვალუტა – ქართული ლარი.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივებისა და ვალდებულებების ეროვნულ ვალუტაში გადაფასება ხდება ბალანსის შედგენის თარიღისათვის ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსით. უცხოური ვალუტით გამოსახული ნაკადების ღირებულება კონვერტირდება ეროვნული ვალუტით იმ თარიღისათვის მოქმედი ოფიციალური კურსით, როდესაც ამ ნაკადებს ჰქონდათ ადგილი. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების გაცვლით გამოწვეული მოგება ან ზარალი აისახება სხვა ეკონომიკურ ნაკადებში (მოგება/ზარალი ფლობიდან).

ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოსათვის არსებული გაცვლითი კურსები, რომლებიც სააგენტომ გამოიყენა ბუღალტრული ანგარიშგების მომზადებისას:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსები 1 GEL

	2011	2010
აშშ დოლარი USD	1.6703	1.7728
ევრო EUR	2.1614	2.3500
გირვანქა სტერლინგი GBP	2.5776	2.7393

3. ბიუჯეტირების პროცესი

საქართველოს 2011 წლის ბიუჯეტის კანონის შესაბამისად სააგენტომ მიიღო სუბსიდია 496,500 ლარის ოდენობით. 2012 წელს კი საკუთარი სახსრების ზრდის გამო სააგენტოს სახელმწიფო დაფინანსება არ მიუღია. რაც შეეხება საკუთარი სახსრების განკარგვას, სააგენტოს დირექტორის 2011 წლის 15 აპრილის N14 ბრძანების მიხედვით განისაზღვრა 2011 წლის საფინანსო გეგმა, რომელიც იმავე წლის განმავლობაში სამჯერ დაზუსტდა და საბოლოო სახე 14 დეკემბერს მიიღო. აღნიშნულის მსგავსად, 2012 წლის 3 იანვრის N01 ბრძანებით დამტკიცებული ფინანსური გეგმა წლის განმავლობაში ასევე სამჯერ შეიცვალა, საბოლოო ცვლილების შეტანა კი 24 ოქტომბერს მოხდა. წლების მიხედვით ფინანსური გეგმის შედარება ფაქტობრივ შედეგებთან შესაძლებელია შემდეგნაირად წარმოვადგინოთ:

2011 წელი	პირველადი გეგმის მიხედვით	ცვლილება %	გეგმა საბოლოო დაზუსტების მიხედვით	ფაქტობრივთან სხვაობა %	ფაქტობრივი
შემოსავლები	1,003,500	35%	1,350,000	-7%	1,249,480
შრომის ანაზღაურება	(216,900)	-75%	(55,000)	-6%	(51,513)
საქონელი და მომსახურება	(184,400)	172%	(501,300)	-47%	(267,456)
სოციალური უზრუნველყოფა	(5,000)	-100%	-	-	-
გრანტები	-	-	(3,700)	2%	(3,763)
სხვა ხარჯები	(120,000)	25%	(150,000)	-93%	(10,139)
სულ ხარჯები	(526,300)	33%	(710,000)	-53%	(332,872)
მოგება	477,200	36%	640,400	42%	916,608

არაფინანსური აქტივების ზრდა (250,000) 16% (290,000) -47% 152,321

2012 წელი	პირველადი გეგმის მიხედვით	ცვლილება %	გეგმა საბოლოო დაზუსტების მიხედვით	ფაქტობრივთან სხვაობა %	ფაქტობრივი
შემოსავლები	1,551,700	156%	3,978,000	-15%	3,393,201
შრომის ანაზღაურება	(1,117,800)	38%	(1,540,000)	-7%	(1,438,439)
საქონელი და მომსახურება	(593,200)	17%	(695,000)	-33%	(464,033)
სოციალური უზრუნველყოფა	(5,000)	-100%	-	-	(7,962)
გრანტები	(5,000)	100%	(10,000)	-100%	-
სხვა ხარჯები	(359,000)	-58%	(150,000)	27%	(190,377)
სულ ხარჯები	(2,080,000)	15%	(2,395,000)	-12%	(2,100,811)
მოგება/(ზარალი)	(528,300)	-400%	1,583,000	-18%	1,292,390

არაფინანსური აქტივების ზრდა (200,000) 45% 290,000 14% 329,883

გარდა 2012 წელს კვოტის ზემოთ გაცემული ნებართვებით გამომუშავებული შემოსავლების მატებისა, სააგენტოს არ წარმოუდგენია ფინანსური გეგმის ხშირ ცვლილებებსა და გამოვლენილ გადახრებზე რაიმე ახსნა-განმარტება. შესაბამისად, შესაძლებელია ითქვას, რომ სააგენტოს მიერ საკუთარი სახსრების განკარგვა არ ხდება წინასწარ გაწერილი გეგმის შესაბამისად, რაც სააგენტოს საშუალებას მისცემდა საკუთარი ფინანსური სახსრები უფრო ეფექტიანად გამოეყენებინა.

4. სააგენტოს საქმიანობის მიმოხილვა სტრუქტურული ქვედანაყოფების მიხედვით

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მიერ დამტკიცებული დებულებით განსაზღვრულია სააგენტოს სტრუქტურა და ამ სტრუქტურული ქვედანაყოფების ფუნქციები. სააგენტოს სტრუქტურული ქვედანაყოფებია:

- საფინანსო და ადმინისტრაციული სამსახური
- საავტომობილო ტრანსპორტის სამსახური
- ✓ სატვირთო გადაზიდვების სამმართველო

სსიპ „სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო პერიოდებისთვის, რომლებიც დასრულდა 2011 და 2012 წლების 31 დეკემბერს

- ✓ სამგზავრო გადაყვანების სამმართველო
- სპეციალური ტრანსპორტის სამსახური
- უსაფრთხოების სამსახური
- ანალიზისა და მონიტორინგის სამსახური
- მომხმარებელთან ურთიერთობის სამსახური
- საკვალიფიკაციო ცენტრი

საფინანსო და ადმინისტრაციული სამსახურის საქმიანობის ძირითად სფეროს წარმოადგენს:

- სააგენტოს საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკური უზრუნველყოფა
- სააგენტოს საკადრო საკითხების რეგულირება
- საფინანსო-საბიუჯეტო საქმიანობის წარმართვა, ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების უზრუნველყოფა კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად
- შესყიდვების პროცედურების განხორციელება და განხორციელებული შესყიდვების შესახებ ანგარიშგების მომზადება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში წარსადგენად
- საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა
- სააგენტოს საქმიანობის სამართლებრივი უზრუნველყოფა

საავტომობილო სამსახურის ძირითადი ფუნქციებია:

- საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო ხელშეკრულებების საფუძველზე დადგენილი საერთაშორისო სატვირთო გადაზიდვის და საერთაშორისო რეგულარული სამგზავრო გადაყვანების ნებართვების გაცემასთან, მათში ცვლილებების შეტანასა ან გაუქმებასთან დაკავშირებული საქმიანობა მის კომპეტენციას მიკუთვნებულ მარეგულირებელი საერთაშორისო ხელშეკრულებების, ტექნიკური რეგლამენტებისა და სხვა მარეგულირებელი ნორმატიული აქტების მოთხოვნათა დაცვაზე ზედამხედველობის განხორციელებაში მონაწილეობა კანონმდებლობით დადგენილი წესით
- საავტომობილო სამგზავრო გადაყვანებისა და სატვირთო გადაზიდვების სფეროში მეწარმეებისა და მომხმარებლების ინტერესების დაცვა კომპეტენციის ფარგლებში

საავტომობილო სამსახურის მიერ გაცემული ნებართვების რაოდენობა წარმოდგენილია საქონლისა და მომსახურების რეალიზაციის პარაგრაფში.

სპეციალური ტრანსპორტის სამსახურის ძირითადი ფუნქციებია:

- სპეციალური ტრანსპორტის უსაფრთხოებისა და განვითარების სახელმწიფო კონცეფციებისა და პროგრამების პროექტების შემუშავებასა და მათ რეალიზაციაში მონაწილეობა კომპეტენციის ფარგლებში
- საბაგირო, მონორელსური და სხვა ეკოლოგიურად სუფთა სპეციალური ტრანსპორტის პროგრესული სისტემების დანერგვასთან და არსებულთა რეკონსტრუქციასა და მოდერნიზაციასთან დაკავშირებული წინადადებების მომზადება
- კომპეტენციის ფარგლებში სპეციალური ტრანსპორტის მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტების მოთხოვნათა დაცვაზე ზედამხედველობის განხორციელება

დებულების მიხედვით, სპეციალური ტრანსპორტის სამსახურის ერთ-ერთ ფუნქციად განსაზღვრულია სპეციალური ტრანსპორტის (საბაგირო, სარელსო და ა.შ) მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტების მოთხოვნათა დაცვაზე ზედამხედველობის განხორციელება. თუმცა როგორც ამ სამსახურის საქმიანობის შესწავლიდან აღმოჩნდა, მათი საქმიანობა ძირითადად შემოიფარგლება საერთაშორისო პრაქტიკის გაცნობით და შესაბამისი საკანონმდებლო პროექტების მომზადებით.

სპეციალური ტრანსპორტის სამსახურის მიერ ზედამხედველობის განხორციელებას, როგორც ეს გათვალისწინებულია დებულებით, ადგილი არ ჰქონია. გამომდინარე აქედან, სააგენტო არ იყენებს მისთვის კანონმდებლობით მინიჭებულ უფლებამოსილებებს და არაჯეროვნად ასრულებს მასზე დაკისრებულ მონიტორინგის ფუნქციას.

უსაფრთხოების სამსახურის ძირითადი ფუნქციებია:

- საერთაშორისო სატრანსპორტო ორგანიზაციებსა და ევროსტრუქტურებში ინტეგრაციისა და საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის ქვეყნების კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის მიზნით დარგში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი და საერთაშორისო ვალდებულებით

- განსაზღვრული უსაფრთხოების ტექნიკური პირობების და ნორმების ანალიზი, მათი იმპლემენტაციისათვის აუცილებელი წინადადებების მომზადება და რეალიზაციაში მონაწილეობა
- ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური და უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესატყვისობისა და გზისთვის ვარგისობის ტესტის ECMT-ს სერთიფიკატების, საერთაშორისო ტვირთების საერთაშორისო გადაზიდვაზე ავტოსატრანსპორტო საშუალების დაშვების მოწმობების გაცემის, მათში ცვლილებების შეტანის ან გაუქმების უზრუნველყოფა
 - ავტოსატრანსპორტო საშუალებების გზისთვის ვარგისობაზე სავალდებულო პერიოდული ტესტირების გავლის დამადასტურებელი ფირნიშის ბლანკების კანონმდებლობით დადგენილი წესით დამზადების ორგანიზებაში მონაწილეობა, მათი გამოყენების მონიტორინგი, ფირნიშის ბლანკების რეესტრის წარმოება

უსაფრთხოების სამსახურის მიერ გაცემული ნებართვების რაოდენობა წარმოდგენილია საქონლისა და მომსახურების რეალიზაციის პარაგრაფში.

ანალიზისა და მონიტორინგის სამსახური:

სააგენტოს საქმიანობის ფუნქციებიდან აღსანიშნავია დარგში სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის, მგზავრთა გადაყვანისა და ტვირთის გადაზიდვის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ტექნიკური რეგლამენტების პროექტების შემუშავება, დასამტკიცებლად სამინისტროში წარდგენა და მათ საფუძველზე დარგში მონიტორინგის განხორციელება. აღნიშნული დელეგირებულია ანალიზისა და მონიტორინგის სამსახურზე, რომელსაც ასევე ევალება სახმელეთო ტრანსპორტის სფეროში საქმიანობის შესახებ კანონმდებლობით გათვალისწინებული წყაროებიდან ინფორმაციის მოპოვება, მიღებული ინფორმაციის ანალიტიკური დამუშავება და მეწარმეთა აღრიცხვა. სამსახური უფლებამოსილია დარღვევისას ან/და ეროვნული გადამზიდველების მიერ დაშვებულ დარღვევებზე უცხო ქვეყნის კომპეტენტური ორგანოებისაგან ინფორმაციის მიღებისას, დააკისროს დამრღვევ პირებს საქართველოს კანონმდებლობითა და საერთაშორისო შეთანხმებებით გათვალისწინებული სანქციები.

ამჟამად არსებობს 12 რეგლამენტი, რომელთა შესრულებაზე მონიტორინგის განხორციელება ევალება სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს. ტექნიკური რეგლამენტები ეხება ისეთ საკითხებს როგორიცაა:

1. ავტოსადგურის ფუნქციონირების წესი და პირობები;
2. ავტოსატრანსპორტო საშუალებებით მგზავრის გადაყვანისა და ბარგის გადაზიდვის წესი;
3. სატვირთო ავტომობილებისა და მისაბმელებისათვის ECMT-ს ტექნიკურ და უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესატყვისობისა და გზისთვის ვარგისობის ტესტის სერთიფიკატების გაცემისა და გამოყენების წესი;
4. საერთაშორისო გადაზიდვების მწარმოებელი ავტოსატრანსპორტო საშუალებების მძღოლთა შრომისა და დასვენების რეჟიმების და ავტოსატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის პარამეტრების საკონტროლო მოწყობილობების გამოყენების წესი;
5. ავტოსატრანსპორტო საშუალებებით ტვირთის გადაზიდვის წესი;
6. ავტოსატრანსპორტო საშუალებების სერვისის წესი;
7. მექანიკურ სატრანსპორტო საშუალების გადაკეთების წესები;
8. სხვადასხვა კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალების ტესტირების პერიოდულობა;
9. ავტოსატრანსპორტო საშუალების გზისთვის ვარგისობაზე სავალდებულო პერიოდული ტესტირების ფირნიშების ფორმის და დამზადების წესი;
10. მოთხოვნები ინდივიდუალური წესით დამზადებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების მიმართ;
11. ავტოსატრანსპორტო საშუალებათა მიმართ წაყენებული ტექნიკური მოთხოვნები და ტესტირების მეთოდები, რომლებთან შესაბამისობის დადგენის მიზნითაც ტარდება გზისთვის ვარგისობაზე ტესტირება;
12. საბაჟო ლუქების გამოყენებით ტვირთის გადაზიდვაზე ავტოსატრანსპორტო საშუალების დაშვების სერთიფიკატის გაცემის წესი.

2011 და 2012 წლებში სააგენტოს მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგად, მხოლოდ ორი ისეთი ტექნიკური რეგლამენტის დარღვევაზეა შედგენილი 24 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი როგორც

არის: „ავტოსადგურის ფუნქციონირების წესი და პირობები" და „ავტოსატრანსპორტო საშუალებით მგზავრის გადაყვანისა და ბარგის გადაზიდვის წესი". ყველა შემოწმება სააგენტოს ჩატარებული აქვს შემოსული განცხადების, ან საჩივრის საფუძველზე, არცერთი არ არის საკუთარი ინიციატივით, რომლის უფლებასაც მას რთავს საქართველოს კანონი „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სააგენტოს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, არ გააჩნია ავტოსატრანსპორტო საშუალებებსა და ავტოსადგურებზე ოპერატიული მონიტორინგის განხორციელების უფლება. სააგენტო იწყებს ობიექტის შემოწმებას თუ სასამართლო დაუკმაყოფილებს მას შუამდგომლობას და გასცემს ბრძანებას ობიექტის შემოწმებასთან დაკავშირებით, რაც სააგენტოსთან ერთად ეგზავნება მეწარმე სუბიექტსაც. მიუხედავად ამ საკანონმდებლო შეზღუდვისა, აუდიტით გამოვლენილი გარემოებებიდან და დარგში არსებული პრობლემებიდან გამომდინარე, სააგენტოს საქმიანობა დარღვევებზე რეაგირების ნაწილში არადამაკმაყოფილებელია – 2 წლის განმავლობაში შედგენილია 24 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი.

ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი ანიჭებს სააგენტოს დისკრეციულ უფლებამოსილებას სამართალდარღვევაზე განსაზღვროს ჯარიმის ოდენობა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 5000 ლარს. სააგენტოს არ აქვს შემუშავებული სამართალდარღვევაზე შესაბამისი ოდენობის ჯარიმის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას სახელმძღვანელო სტანდარტი. საგულისხმოა, რომ სააგენტო არ მსჯელობს, თუ რა გარემოებებსა და კრიტერიუმებზე დაყრდნობით მიიღება გადაწყვეტილება ჯარიმის ოდენობის შესახებ, რაც დაასაბუთებდა სააგენტოს მიერ კანონის მიზნების შესაბამისად პროპორციულობის პრინციპის დაცვას დარღვევის ფაქტთან დაკავშირებით რეაგირების ღონისძიების გამოყენების საკითხზე. აღნიშნული კი წარმოქმნის ეჭვს დაკისრებული ჯარიმის ოდენობის გონივრულობასთან დაკავშირებით.

მომხმარებელთან ურთიერთობის სამსახურის ძირითადი ფუნქცია:

- რეგიონალური სტრუქტურების დონეზე ნებართვების, სერტიფიკატების, სახიფათო ტვირთების საერთაშორისო გადაზიდვაზე ავტოსატრანსპორტო საშუალების დაშვების მოწმობების მისაღებად წარმოდგენილი განცხადებისა და თანდართული დოკუმენტების მიღება, შემოწმება და მათი განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა

2012 წლის ბოლოდან სააგენტოში დაინერგა დოკუმენტბრუნვის კომპიუტერული პროგრამა, რომლის მიხედვითაც მომხმარებელთან ურთიერთობის სამსახური ახდენს მომხმარებელთა განაცხადების რეგისტრაციას და მის შემდგომ დამუშავებას სააგენტოს სხვა ქვედანაყოფებთან ერთად. აღნიშნული პროგრამა უზრუნველყოფს ხარისხიანი ინფორმაციის ხელმისაწვდომობას და მნიშვნელოვნად ამცირებს სააგენტოს საოპერაციო რისკებს.

საკვალიფიკაციო ცენტრის ძირითადი ფუნქცია:

- პროფესიული განვითარების მიზნით დარგში დასაქმებული მუშაკებისათვის და სხვა დაინტერესებული უწყებების თანამშრომლებისათვის სახმელეთო ტრანსპორტის დარგთან დაკავშირებული ტრენინგების, სემინარების და სხვა ღონისძიებების ჩატარების ორგანიზება.

საკვალიფიკაციო ცენტრი (ცენტრი) 2011 და 2012 წლების განმავლობაში შედგებოდა ერთი თანამშრომლისგან. ცენტრმა 2012 წელს ორგანიზება გაუკეთა 8 ერთდღიან სემინარს, რომელშიც დარგში დასაქმებულმა 70-მა სპეციალისტმა მიიღო მონაწილეობა. თუმცა, სააგენტოს არ წარმოუდგენია სემინარების ჩატარების დამადასტურებელი დოკუმენტი და არც სასწავლო გეგმა, რომლის მიხედვითაც მან იხელმძღვანელა სემინარების მსვლელობისას. სააგენტოს განმარტებით, სემინარები იყო ზოგადი ხასიათის და მოიცავდა დარგის საკანონმდებლო ბაზისა და მასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხების განხილვას.

გარდა ამისა, ხელმძღვანელობის განმარტებით, ცენტრის თანამშრომელი კომპეტენციის ფარგლებში აქტიურად უწევდა ზეპირ კონსულტაციას სახელმწიფო უწყებებს და სხვა დაინტერესებულ მხარეებს. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ 2011 და 2012 წლების განმავლობაში სააგენტოს მიერ არ გამოქვეყნებულა რაიმე სახის სასწავლო

სსიპ „სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო პერიოდებისთვის, რომლებიც დასრულდა 2011 და 2012 წლების 31 დეკემბერს

მასალა (კუბლიკაციები, სახელმძღვანელო და აშ), რაც უზრუნველყოფდა დარგში დასაქმებული პირებისთვის მაღალი ხარისხის ინფორმაციის ხელმისაწვდომლობას.

ზემოთ განხილული საკითხების გათვალისწინებით, შესაძლებელია ითქვას, რომ 2011 და 2012 წლების განმავლობაში საკვალიფიკაციო ცენტრი ვერ ახორციელებდა სრულფასოვან ფუნქციონირებას. ცენტრს საერთოდ არ გააჩნდა შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ხელმძღვანელობის განმარტებით, ცენტრის სრულყოფილი ფუნქციონირების უზრუნველყოფის მიზნით იგეგმება როგორც მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა, ასევე - „საავტომობილო ტრანსპორტის კავშირისგან“ (IRU) აკრედიტაციის მოპოვება. აკრედიტაციის შედეგად ცენტრს შესაძლებლობა ექნება მომხმარებელს შესთავაზოს აღნიშნული ორგანიზაციის მიერ აპრობირებული სასწავლო პროგრამები და გასცეს საერთაშორისოდ აღიარებული, კვალიფიკაციის დამადასტურებელი შესაბამისი სერთიფიკატები.

5. საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია

სააგენტოს საკუთარი შემოსავლები 2011 და 2012 წლებისთვის მოიცავს:

	2011	2012
სატვირთო ნებართვების გაცემა	653,949	1,289,347
სატვირთო ნებართვების გაცემა კვოტის ზემოთ	-	953,466
სატვირთო ნებართვების გაცემა ECMT კვოტების სისტემაში	321,942	649,903
სამგზავრო ნებართვების გაცემა	151,864	205,932
ფირნიშის ბლანკების გაცემა	45,976	50,932
ECMT სერტიფიკატის გაცემა (სატვირთოს და მისაბმელის გზისთვის ვარგისობა)	29,415	39,167
სხვა დანარჩენი	28,551	123,410
სულ	1,231,697	3,312,157

სააგენტოს ძირითადი შემოსავალი გამომჟღავნდება სახმელეთო სატვირთო გადაზიდვების ერთჯერადი, მრავალჯერადი და უნივერსალური ნებართვების გაცემით. თითოეულ ქვეყნის მიხედვით ნებართვების რაოდენობა/კვოტა განისაზღვრება ქვეყნებს შორის მოლაპარაკებების საფუძველზე. 2011 და 2012 წლების მიხედვით აღნიშნული მომსახურების ფაქტობრივი მონაცემები შესაძლებელია შემდეგნაირად წარმოვადგინოთ:

2011 წელი	კვოტა	გაცემული	%	სულ გაუცემელში
თურქეთი - მრავალჯერადი	10,000	503	5%	53%
აზერბაიჯანი	4,500	4,499	100%	0.01%
უკრაინა - უნივერსალური	4,000	2,628	66%	8%
ირანი	3,500	71	2%	19%
თურქეთი - ერთჯერადი	2,000	2,000	100%	0%
თურქეთი III	1,000	750	75%	1%
ბელორუსია - უნივერსალური	800	552	69%	1%
ბულგარეთი	800	155	19%	4%
საბერძნეთი	500	310	62%	1%
პოლონეთი	400	125	31%	2%
სხვა ქვეყნები	2,840	980	35%	10%
	30,340	12,573		100%

სსიპ „სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო პერიოდებისთვის, რომლებიც დასრულდა 2011 და 2012 წლების 31 დეკემბერს

2012 წელი	კვოტა	გაცემული	%	სულ გაუცემელში
თურქეთი (მრავალჯ.)	10,000	505	5%	37%
აზერბაიჯანი	6,000	5,998	100%	0.01%
უკრაინა უნივერს.	4,996	2,927	59%	8%
თურქეთი ერთჯ.	4,000	2,450	61%	6%
თურქეთი III	2,750	850	31%	7%
ბულგარეთი	2,500	54	2%	10%
ირანი	2,499	48	2%	10%
რუსეთი	2,000	12	1%	8%
ბელორუსია უნივერს.	800	470	59%	1%
საბერძნეთი	500	425	85%	0.3%
სხვა ქვეყნები	4,155	732	18%	13%
	40,200	14,471		100%

2011 წლის მონაცემებში გათვალისწინებულია ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაციის მიერ გაცემული ნებართვებიც. აღსანიშნავია, რომ 2011 და 2012 წლებში მხოლოდ თურქეთის გაუცემელი მრავალჯერადი ნებართვები მთლიანად გამოუყენებელი ნებართვების 53%-ს და 37%-ს შეადგენდა, ხოლო იგივე მაჩვენებელი ირანის შემთხვევაში, შესაბამისად 19 %-ს და 10%-ს უტოლდება.

ირანისა და რუსეთის გამოყენებული ნებართვების პროცენტული მაჩვენებელი კვოტების რაოდენობასთან მიმართებაში ყველაზე დაბალია. 2011 და 2012 წლების მიხედვით ირანის შემთხვევაში ეს მაჩვენებელი 2 პროცენტს შეადგენს, ხოლო 2012 წელს რუსეთის ნებართვების მხოლოდ 1% იქნა გაცემული.

6. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის მიხედვით განხორციელებული შესყიდვები

სააგენტოს მიერ 2011 და 2012 წლების განმავლობაში განხორციელებული შესყიდვები შესაძლებელია შემდეგნაირად წარმოვადგინოთ:

	2011		2012	
	ერთ.	ღირებულება	ერთ.	ღირებულება
გამარტივებული ელექტრონული ტენდერი	18	220,799	20	355,720
კონსოლიდირებული ტენდერი	-	-	2	32,260
ტენდერი	1	126,500	-	-
გამარტივებული შესყიდვის წესი	33	31,514	63	98,229
წარმომადგენლობითი ხარჯები	24	21,468	40	15,014
	76	400,281	125	501,223

2011 წელს სააგენტომ ორჯერ განახორციელა შესყიდვა გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10(1) მუხლის 3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე. ორივე შემთხვევაში ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა საწვავი. ხელშეკრულებების ჯამური ღირებულება შეადგენს 7590 ლარს. 2012 წელს გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით სააგენტოს შესყიდვა არ განუხორციელებია.

სააგენტოს მიერ განხორციელებული შესყიდვების მიმოხილვის შედეგად გამოვლენილი ხარვეზები წარმოდგენილია ქვემოთ:

- შპს „მოდერნ ვილასთან“, 2011 წელს გაფორმებული ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა საოფისე ავეჯის შესყიდვა. შესასყიდი ავეჯის სიაში გვხვდება საკონფერენციო სავარძლები ტყავის რბილი ზედაპირით. შესყიდული სავარძლის ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე გამოვლინდა, რომ სავარძლებს აქვს არა ტყავის, არამედ „დერმატინის“ ზედაპირი (ტყავის შემცველის). კანონმდებლობის მიხედვით სატენდერო დოკუმენტაციაში შესყიდვის საგნის მახასიათებლები უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო პრაქტიკაში დამკვიდრებულ სტანდარტებს და არ უნდა ტოვებდეს ორმაგი ინტერპრეტაციის საშუალებას.
- გამარტივებული შესყიდვების წესით დადებულ ხელშეკრულებების უმრავლესობაში არ არის მითითებული ხელშეკრულების მოქმედების კონკრეტული ვადა, რაც შეუსაბამოა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის N9 ბრძანებით დამტკიცებული წესის⁸ მოთხოვნასთან.
- რამდენიმე ხელშეკრულებაში მიღება-ჩაბარების აქტი განმარტებულია, როგორც მხარეთა მიერ ხელმოწერილი აქტი, რომელიც მიუთითებს ინსპექტირების აქტში მითითებული უნაკლო საქონლის რაოდენობაზე და ადასტურებს მიწოდებული საქონლის რაოდენობას, ხარისხს და ღირებულებას. თუმცა, ხშირ შემთხვევაში მიღება-ჩაბარების აქტებთან ერთად არ გვხვდება ინსპექტირების აქტები.
- ზოგიერთი ხელშეკრულება განსაზღვრავს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე პასუხისმგებელ კონკრეტულ პირს, თუმცა მიღება-ჩაბარების აქტზე სრულიად სხვა პიროვნებების ხელმოწერებია. ამასთან დაკავშირებით, სააგენტომ ვერ წარმოადგინა რაიმე სახის დოკუმენტი, სადაც აღნიშნული იქნებოდა თუ რატომ არ აწერს ხელს ხელშეკრულებით განსაზღვრული პირი შესაბამის მიღება-ჩაბარებას.

7. ფინანსური ანგარიშგების შედგენის შემდგომი მოვლენები


ქვემოთ მოცემულია ფინანსური ანგარიშგების შედგენის შემდგომ მნიშვნელოვანი მოვლენების ჩამონათვალი:

- 2013 წელს საქართველოს მთავრობის განკარგულებისა⁹ და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წერილის შესაბამისად, სააგენტომ სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს“ გადასცა 1,750,000 ლარი.
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსგან სააგენტოს გადაეცა ქ. თბილისში ვაჟა-ფშაველას N16-ში მდებარე საოფისე ფართი (მე-4 სართული; 501,03 კვ.მ), რომლის საბაზრო ღირებულება 682,700 ლარს შეადგენს.

აუდიტორთა ხელმოწერა:

ნიკა ბიჩინაშვილი

ნაია ხოფერია



⁸ მე-19 მუხლის მე-6 პუნქტი

⁹ 30 ივლისის N977 განკარგულება